# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 დეკემბერი 2004 №293 (2314) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაგრატიონმა ოლიმპიური ტახტი დატოვა

## პატარკაციშვილი კაციშვილს არ აექცევს



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოქმედი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი კენჭს აღარ იყრის, ამიტომ დღეს ჩვენი ოლიმპიელები ახალ თავკაცს აირჩევენ. პრეზიდენტობის კანდიდატი ოთხია — ლევან ახვლედიანი, რამაზ გოგლიძე, ბადრი პატარკაციშვილი და ბეჟან ხურციძე. თუ პროგნოზი გნებავთ, გამარჯვებულის დასახელებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა — ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა და თანაც სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა პატარკაციშვილმა საათენო სამზადისისას ხელი გაშალა და კაიძალი ფულიც დაახარჯა ქართველ ოლიმპიელებს, ასე რომ, მის გამარჯვებაში ძნელად რომ ვინმეს ეჭვი შეეპაროს. სხვა სამი კანდიდატის შანსები კი ერთობ მყიფეა.

იყო მეხუთე პრეტენდენტიც, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, მაგრამ მან ამ ცოტა ხნის წინ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

## აუე — ობერჰაუზენი

### 2:0 და ორი აგური ფოტოლიზატორებისთვის: გუნდები ანგარიშს აკეთებენ, ჩვენ წაგებას ვანგარიშობთ




აუეს ქართველი ხვიჩა შუბითიძე: ჩვენი გუნდი არაფერ შუაშია

## UEFA CUP

## დინამოსთვის ორი კვირის წინ დამთავრებული უეფას თასი გუშინ დამთავრდა






„ჰართსი" – „ფერენცვაროში" ქართულმა ბრიგადამ ლევან ფანიაშვილის არბიტრობით განსაჯა

# უეფას თასი
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**ბაზელი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 კარინიანო (53)

**ჰართსი 0:1 ფერენცვაროში**

0:1 როსა (30)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ბაზელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ფერენცვაროში | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ჰართსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

### B ჯგუფი

**პარმა 3:2 ბეშიქთაში**

0:1 ოკანი (6), 1:1 ჯილარდინო (17), 2:1 კარდონე (36), 3:1 დეგანო (60), 3:2 ტუმერი (88)

**სტანდარდი 1:7 ბილბაო**

0:1, 0:2 ესკერო (5, 8), 1:2 ონიევუ (14), 1:3 იესტე (35), 1:4 ესკერო (55), 1:5 ირაოლა (58პ), 1:6 დელ ორნო (64), 1:7 ეჩებერია (70)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| პარმა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| სტანდარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |

### C ჯგუფი

**ბრიუგე 1:1 სარაგოსა**

0:1 სავიო (40), 1:1 ნ. ჩეპი (68)

**უტრეხტი 1:2 აუსტრია**

0:1 სიონკო (14), 1:1 დ. დუგლასი (54), 1:2 რუშფელდტი (78)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სარაგოსა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| აუსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| უტრეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |

### D ჯგუფი

**ნიუკასლი 1:1 სპორტინგი**

1:0 ბელამი (5), 1:1 კუშტუდიუ (40)

**სოშო 1:0 პანიონიოსი**

1:0 იზაბეი (86)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| სოშო | 4 | 3 | 0 | 1 | 4:4 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 7 |
| პანიონიოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

### 1/16 ფინალში ითამაშებენ

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | დნიპრო (უკრაინა) |
| შალკე (გერმანია) | სარაგოსა (ესპანეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | აუსტრია (ავსტრია) |
| ბილბაო (ესპანეთი) | ნიუკასლი (ინგლისი) |
| სტიაუა (რუმინეთი) | სოშო (საფრანგეთი) |
| პარმა (იტალია) | სპორტინგი (პორტუგალია) |



პარმა — ბეშიქთაში. იტალიელებმა თურქები მეთექვსმეტედფინალში არ გაუშვეს

### ჰოლანდია
I დივიზიონი. XVII ტური

**ვიტესი 3:1 გრააფსხაპი**

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XIX ტური

**ლორიანი 3:0 ბრესტი**

### იტალია
სერია C1/A. გადადებული მატჩი

**პრატო 0:2 პიზა**

# თბილისი: ახლა არა, ზაფხულში...
## მოსკოვმა საქართველოს თასიც აურია



*ჩემპიონატის პირველი ეტაპი რომ დამთავრდა და, შესაბამისად, სატრანსფერო ფანჯარა გაი[illegible] უნდა, ფეხბურთელთა მიდი-მოდიზეც დაიწყო ლაპარაკი. „დინამო" „ლოკომოტივი", „თბილისი", „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" — სატრანსფერო ამბებთან დაკავშირებით მეტწილად ამ გუნდებს ახსენებენ. ამათგან, „ზესტაფონს" ბევრი ფული გამოუჩნდა და ფეხბურთელებს შეიძენსო, თუ ამბობენ, „თბილისზე", ფეხბურთელებს ყიდისო, ხშირად გაიგებთ.*

*ამ ხმებს თუ დავუჯერებთ, „თბილისმა" მეორე ეტაპზე მთლად განახლებული შემადგენლობით უნდა ითამაშოს, არადა, კლუბში სულ სხვა გეგმები აქვთ. გუშინ „თბილისის" ერთ-ერთ დამფუძნებელ* ***მამუკა გუგეშაშვილს*** *სწორედ კლუბის სატრანსფერო ამბების გასაგებად დავუკავშირდით...*

— მეორე ეტაპის დაწყებამდე „თბილისი" ორ-სამ ფეხბურთელზე მეტს არ გაუშვებს, გადაჭარბებულია იმის თქმა, თითქოს ნახევარი გუნდის გასხვისებას ვაპირებდეთ. დღესდღეობით მოსკოვის ტრადიციულ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში მონაწილეობაზე ვფიქრობთ. ჩვენი ფეხბურთელების გადაბირებით კი სერიოზულად ჯერ არავინ დაინტერესებულა.

**— ოდიკაძე თბილისის" დინამოში" მიდის, ხოჯავა — რუსულ „კრილია სოვეტოვშიო", მართალი არ არის?**

— ვერ გეტყვით, „დინამოდან" ჩვენ არაფერი გვსმენია და არც ხოჯავას თაობაზე მოუმართავს „კრილია სოვეტოვს". ყოველ შემთხვევაში, ხოჯავა იმ დონის ფეხბურთელი არ არის, რომელიმე გუნდმა გასასინჯად წაიყვანოს, ეს ფეხბურთელის და კლუბის მასხრად აგდებას ნიშნავს. დღესდღეობით „თბილისი" მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა. გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივში" მიდის. თუმც ის აქამდეც „ბათუმში" გვყავდა განათხოვრებული.

**— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, „თბილისიდან" ოდიკაძისა და ხოჯავას წასვლა გამორიცხული არ არის...**

— ახლა „თბილისი" შესაძლოა ორ-სამ ფეხბურთელს შეელიოს. თუმც გუნდში ექვსი-შვიდი ისეთი ფეხბურთელიც დარჩება, რომლებსაც, თუ სერიოზული მთხოვნელი არ გამოუჩნდა, სეზონის ბოლომდე არსად გავუშვებთ.

**— სეზონის ბოლოს?**

— სეზონის დამთავრების შემდეგ „თბილისი" მნიშვნელოვნად გადახალისდება. ჩვენი საფეხბურთო სკოლისგან წლეულს პირველ გამოშვებას მივიღებთ და „თბილისის" მთავარ გუნდში ვათამაშებთ.

**— ესე იგი, სეზონის დამთავრებამდე „თბილისი" ბირთვს შეინარჩუნებს...**

— დიახ, ექვსი-შვიდი ფეხბურთელი ჩვენთან სეზონის ბოლომდე დარჩება.

**— ამ ფეხბურთელთა გვარებს არ გვეტყვით?**

— ორბელაძე, გოგუა... ამ ფეხბურთელებით, ვთქვათ, ბუნდესლიგის ან პრემიერლიგის გუნდები თუ დაინტერესდებიან, გავუშვებთ, თუ არა, სეზონის ბოლომდე ჩვენთან დარჩებიან.

**— წამსვლელთა სიაში პირველი ვინ არის?**

— გივი კვარაცხელია. ჯერჯერობით მხოლოდ ამ ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

**— შესაძლო ტრანსფერებზე აღარ გკითხავთ, თუმც ეს გვითხარით, მართალია, რომ „თბილისმა" „ოლიმპის" სტადიონი გაყიდა?**

— არ არის მართალი. სტადიონის გაყიდვას არ ვაპირებთ. სანამ „თბილისი" იქნება, „ოლიმპის" სტადიონიც გვექნება.

**— წლეულს „თბილისის" მიზანი რა არის?**

— საქართველოს თასის მოპოვება და ჩემპიონატში საპრიზო ადგილი.

**— მოსამზადებელი გეგმები როგორი გაქვთ?**

— 4 იანვარს შეკრებასა და სამედიცინო შემოწმების გავლას ვაპირებდით, 10-დან ვარჯიშების დაწყებას, 17-დან ანთალიაში წასვლას, მაგრამ, ახლა ესენგეს ტურნირზე თამაშის შანსი რომ გამოგვიჩნდა, არ ვიცი, მწვრთნელი რას გადაწყვეტს, ლუის ცაკარიასი ახლა გერმანიაშია. ჩვენი მიზანი საქართველოს თასია და გვსურს, რომ აპრილ-მაისში, როცა ნახევარფინალ-ფინალური მატჩებია დანიშნული, გუნდი საუკეთესო ფორმაში იყოს.

**კობა ინასარიძე**

# ტორპედომ კარიდან დაიწყო
## სტურუა წავიდა, მერლანი მოვიდა

*„ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მეკარე მირზა მერლანი ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოში" ითამაშებს. თბილისელებმა მეკარე, რომელსაც ორი თვის წინ პირობებზე შეუთანხმებლობის გამო დასცილდნენ, „ტორპედოში" ექვსი თვით ანუ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს. ეს ამბავი გუშინ ქუთაისელთა ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმაც დაგვიდასტურა.*

*თავისთავად ასეთი კითხვა ისმის: „ტორპედომ" საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე რომ გადაიბირა, საქართველოს ნაკრების კანდიდატ ზვიად სტურუას რას უპირებს? პასუხი ასეთია: სტურუა თავად აპირებს...*



მირზა მერლანი

— ზვიად სტურუას ასავალ-დასავალს ვერ გეტყვით. ის გუნდიდან წავიდა — გვითხრა შედან ნანიკაშვილმა.

**— სად წავიდა?**

— არ ვიცი, ალბათ, იქ, სადაც უკეთესი პირობები შესთავაზეს.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ვერ გეტყვით, იქნებ თბილისის რომელიმე გუნდში, იქნებ ზესტაფონში.

**— ზესტაფონი ქუთაისთან ახლოა...**

— ფაქტია, რომ სტურუა „ტორპედოში" აღარ არის, სად წავიდა, ეს მას ჰკითხეთ.

ზვიად სტურუასთვის ეს არ გვიკითხავს, თუმც გუშინვე კი გავიგეთ, რომ ამ მეკარით თბილისის „დინამო" იყო დაინტერესებული, მაგრამ ტრანსფერისგან დროებით თავი შეუკავებია, რაც უკვე თავად სტურუასთვისაც უცნობებია.

**კობა ინასარიძე**


**სარბიელი**
**სამუშაოდ იწვევს**
**გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს**

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# ბეთფაირს რქებს ადგამენ და წველიან

## ობერჰაუზენის ცრემლები: ნიანგები თუ შეურაცხყოფილნი?

ბრიტანული ბუქმეიკერული კანტორა „ბეთფაირი“ ორ კვირაში ორჯერ გაიწეწა. „პანიონიოს“ — „დინამოს“ ტაიმ-ბოლს უეფა ჯერ ისევ იძიებს, ახლა კი „ბეთფაირს“ ახალი სატკივარი დაემატა. გასულ კვირას მეორე ბუნდესლიგაში ერთი ჩვეულებრივი მატჩი შედგა— აუე — „ობერჰაუზენი“, რომელიც საბოლოოდ არაჩვეულებრივი აღმოჩნდა



„ობერჰაუზენის“ კარში დარტყმული პენალტი ტოტალიზატორების კარში გავიდა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაუ ენგელბერტის სიტყვებმა ეუგენ ჰახი განარისხა



ეჭვი: აუე — „ობერჰაუზენმა“ თამაში რომ დაიწყეს, შედეგი უკვე იცოდნენო

**ავსტრიულ** ტოტალიზატორ „პაგობეტს“ გერმანიაში 60 ფილიალი აქვს. „პაგობეტის“ საქმეთა მმართველი, 37 წლის ქალბატონი ნიკოლ ენგელბერტი მატჩისწინა ამბებს იხსენებს: აუეს გამარჯვებაზე ძალიან ბევრი ფული, დაახლოებით 75 ათასი ევრო შემოიტანეს, მაშინ, როცა ასეთი დონის თამაშებზე 20 ათასამდე ევროც კი იშვიათად შემოდის. რაც შეეხება ანგარიშს, აუეს 2:0 მოგებაზე ათჯერ მეტი თანხა დადეს, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს შემოაქვთ ანგარიშის გამოცნობაზე. ამ ფაქტმა დაგვაეჭვა და ფსონების მიღება მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე შევწყვიტეთ.

„პაგობეტის“ გერმანულ ფილიალებში ფულს რომ ითვლიდნენ, იმავდროულად „ბეთფაირმა“ 500 ათასი ევრო მიიღო აუე — „ობერჰაუზენის“ 2:0-ზე და, ცხადია, ბრიტანული კანტორის სალარო ნამატჩევს ძალიან შემსუბუქდებოდა. „პანიონიოს“ — „დინამოსგან“ დაშინებულმა „ბეთფაირმა“ 500 ათასი ევრო რომ ნახა, იეჭვა და ანგარიშის გამოცნობაზე ფსონი უმალ გაანახევრა.

რა მოხდა აუე — „ობერჰაუზენის“ შეხვედრაში? სტუმართა მცველმა ტონი ტიეკუმ მერვე წუთზე ბურთი საკუთარ კარში თავით ჩაჭრა — 1:0.

2:0-ზე ფულის დამდებთ არ უნერვიულიათ, რადგან 57-ე წუთზე სხვაობა „დაჯდა“ — სტუმარმა ანდრე იზეპონმა კოსს საჯარიმოში მაისურაზე დაქაჩა, წააქცია და პენალტიც გაიჩარხა. გიუნტერმა თერთმეტი მეტრიდან გაიტანა — 2:0.

საკუთარ კარში პირველი გოლის ავტორმა ტიეკუმ თამაშის შემდეგ დაიჩივლა: „მე ბურთის გამოტანას ვცდილობდი, მაგრამ მეტოქის სასარგებლოდ შევცდი. რას იზამ, ფეხბურთში ასეთები ხდება ხოლმე“.

ფრაუ ენგელბერტმა კი თქვა, ასეთი გოლების შემდეგ ყველაფერი ნათელია, გარიგების მონაწილენი უნდა დაისაჯონო.

„ობერჰაუზენის“ პრეზიდენტმა ჰერმან შულცმა ყველაფერი უარყო: „ეს სრულიად უსაფუძვლო ჭორებია. ჩვენ არასოდეს არავინ მოგვიტყუებია“.

დამარცხებულთა მწვრთნელი ეუგენ ჰახი: „ვიღაცა ჩვენი რეპუტაციის განზრახ შებღალვას ცდილობს. ნამატჩევს ველაპარაკე ბიჭებს (ტიეკუს და იზეპონს) და ამ ამბით შეურაცხყოფილნი ატირდნენ“.

„ობერჰაუზენმა“ დუისბურგის პროკურატურას მიმართა, რათა ეს საქმე გამოიძიონ, თან განთქმული ფრანკფურტელი ადვოკატი ჰორსტ კლეტკე დაიქირავა.

მატჩების გარიგებაში ადრეც გამოიჭირეს რამდენიმე გუნდი. 1971 წელს ორი მწვრთნელი და 52 (!) ფეხბურთელი ამხილეს და სათანადოდ დასაჯეს. ამ აჯაფსანდალში ბილეფილდის „არმინია“ და „ოფენბახი“ იყვნენ გარეულნი.

1991-ში ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე სახალისო ამბავი მოხდა. „ნიურნბერგის“ იუგოსლაველმა ლეგიონერმა, უთაღლითესმა ვლადო კასალომ ისე გაილაღა, რომ ზედიზედ ორ მატჩში გოლი საკუთარ კარში გაიტანა და მეტოქეებს მოაგებინა. შედეგად კი თავად მსუყე თანხა მოიგო და ალბათ თანაგუნდელებიც ახეირა. პირველად „ნიურნბერგმა“ 0:1 „შტუტგარტთან“ წააგო, მერე კი „კარლსრუესთან“ — 0:2.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხვიჩა შუბითიძე: სკანდალი კი არა, სისულელეა

# ხვიჩა შუბითიძე: აუე არაფერ შუაშია, გამოძიება ობერჰაუზენს ედავება

*ბრიტანულმა ბუქმეიკერულმა კანტორა „ბეთფაირმა“ ახალი სკანდალი რომ ააგორა, გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით. ინგლისელებმა გერმანული მეორე ბუნდესლიგის კლუბებს, „ობერჰაუზენს“ და აუეს ბრალი დასდეს, თამაში ჩააწყვეთ და ამის გამო ბლომად ფული წავაგეთო. ითქვა, „ბეთფაირში“ ნახევარი მილიონი ევრო შევიდა „ობერჰაუზენის“ 0:2 წაგებაზეო — მატჩი სწორედ ამ ანგარიშით დამთავრდა...*

*ეს ბოლო ერთ თვეში ზედიზედ მეორე სკანდალია, „ბეთფაირმა“ რომ ატეხა. მანამდე ხომ იგივე კანტორა „პანიონიოს“ — „დინამოს“ ანგარიშის გამო ახმაურდა.*

*გუშინ ერთ-ერთი ექვმიტანილი გუნდის, აუე-ს ქართველ თავდამსხმელ ხვიჩა შუბითიძეს გერმანიაში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ...*

— სისულელეა. ეს ამბავი გაზეთებიდან გავიგე და არა მგონია, „ბეთფაირი“ მართალი იყოს. თამაშს ამგვარი არაფერი ეტყობოდა. ეგრე ნებისმიერ თამაშზე შეიძლება ეჭვის გამოთქმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაღდად ასე იყო.

**— აბა, საიდან აგორდა ასეთი ხმები?**

— ყველაფერი იმას მოჰყვა, რომ „ობერჰაუზენს“ ერთი გოლი პენალტით გავუტანეთ, მანამდე კი მეტოქემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და 2:0 მოვიგეთ. ალბათ საკუთარ კარში გატანილმა გოლმა უფრო დააეჭვა ბუქმეიკერები.

**— და ამ ანგარიშზე თურმე 500 ათასი ევრო იყო დადებული...**

— არ ვიცი, აქ 75 ათასი დაიწერა. 500 ათასს ვინ დადებდა?!

**— უკვე გამოძიებაც დაწყებულა–**

— რა გითხრათ, ეს ყველაფერი სისულელე მგონია. გამოძიება კი უფრო „ობერჰაუზენს“ ეხება. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ისე, 2:0-ზე ბურთი ძელს გავარტყით და ვინმემ ანგარიში წინასწარ თუ იცოდა, რა გამოდის?! ის ბურთი სპეციალურად მოხვდა ძელს და ჩვენც გასვრილები ვართ?!

**— თუ გახსოვს, „პანიონიოს“ — „დინამოს“ თამაშზეც ამ კანტორამ ატეხა ერთი ამბავი...**

— ვიცი, გავიგე ეგ ამბავი. მაგრამ რა უნდა გამოიძიონ? ვიღაცამ ფული წააგო და ამის გამო თამაში ჩაწყობილი იყო?!

**— კლუბში რას ამბობენ?**

— ხელმძღვანელობამაც არ იცოდა არაფერი. მათაც გაზეთიდან შეიტყვეს, რომ ჩაწყობაში ადანაშაულებენ. თუმც, როგორც გითხარი, უფრო „ობერჰაუზენს“ ედავებიან.

**— შენს ამბებზეც ვთქვათ. წინა სეზონისგან განსხვავებით, ძირითადში ვერ ხვდები...**

— რა ვქნა... მწვრთნელს თავისი ხალხი ჰყავს და მე ყურადღებას არ მაქცევს. სხვები მას, ბოლოში და, უძვრებიან, მაგრამ ასე მოქცევა არ შემიძლია.

**— გუნდიდან წასვლაზე არ ფიქრობ?**

— ზუსტ პასუხს ვერ გაგცემ, მაგრამ ალბათ გამიჭირდება. ისეთ ასაკში ვარ, ახალი გუნდის მოძებნა იოლი არაა.

**— კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

— წელიწადნახევარში.

**— აუე რას უმიზნებს?**

— ლიგაში დარჩენას. სხვა სერიოზული მიზნები არ გვაქვს.

**ბაჩა ფალამბერიძე**



# დევილმა უწყის, რა უნდათ ქართველ მწვრთნელებს: B ლიცენზია გუნდის მართვის მოწმობა

*რაც თავი გვახსოვს, საქართველოში კვალიფიცირებული მწვრთნელების ნაკლებობაზე ლაპარაკი არ წყდება. რასაკვირველია, მწვრთნელობა ის სპეციალობა არ არის, ორი სტრიქონი წაიკითხო და უცებ მარჩელო ლიპი ან რაფა ბენიტესი გახდე. თუმც თეორიული ცოდნა რომ აუცილებელია, ამას წყალი არ გაუვა*

საქართველოში უკვე დაწყებულია B კატეგორიის ფიზმომზადების სამწვრთნელო კურსები, რომელსაც გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს. რამდენიმე დღეა, საქართველოს ნაკრების ბაზაზე ქართველ მწვრთნელებს სემინარს ფრანგი ჟაკ დევილი უტარებს, რომელიც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში ფიზმომზადების მეთოდისტად მუშაობს. ამ საქმეში დევილს რჩევებს არ ამადლის მისი თანამემამულე, საქართველოს ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესიც.

გუშინ ჟაკ დევილმა, ალენ ჟირესმა და გაიოზ დარსაძემ სწორედ ნაკრების ბაზაზე მიგვიწვიეს მასმედიელები.

— უეფას მწვრთნელთა განათლების პროგრამის დანერგვა აქაც დავიწყეთ. გეცოდინებათ, B ლიცენზიის არმქონე მთავარ მწვრთნელებს ევროტურნირებზე გამოსვლის უფლება არ აქვთ. ახლა 29 ქართველი მწვრთნელი მეცადინეობს B ლიცენზიის სამწვრთნელო დიპლომის ასაღებად. ჟაკ დევილს ამ საქმეში დიდი გამოცდილება გააჩნია, იგი მუშაობდა „მონაკოში", „მარსელში" და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენ გაისად, ზაფხულში A კატეგორიის კურსებზე გადასვლას ვაპირებთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც მოწადინებულია და დევილიც ჩვენ გვერდით იქნება — გვითხრა დარსაძემ.

როგორც გაირკვა, დღეს ჩამოდის B კატეგორიის ფიზმომზადების სამწვრთნელო კურსების კიდევ ერთი ინსტრუქტორი ფრანკო ფერარი, რომელიც ასევე რამდენიმედღიან სემინარებს ჩაატარებს და 20 დეკემბერს ჟურნალისტებსაც გაგვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს.

გუშინვე დევილი ქებით შეამკო ალენ ჟირესმაც, მე რომ მწვრთნელის დიპლომი მივიღე, მეტწილად მისი დამსახურება იყოო. „დევილი ჩემი მასწავლებელია, ახლა უკვე ნახევრად ქართველად ვთვლი თავს და, ასე ვთქვათ, მას მასპინძლობას ვუწევ. ქართული ფეხბურთის პროგრესი მცოდნე სპეციალისტების გარეშე წარმოუდგენელია, როგორც მძღოლისთვისაა აუცილებელი მანქანის მართვის ცოდნა, ისეა ამ შემთხვევაშიც."

თავად ჟაკ დევილი კმაყოფილი იყო ქართველი მწვრთნელების მონდომებით, ყურადღებით მისმენდნენ და ეტყობათ, რომ ჩემს ნათქვამს მალე აითვისებენო: „აბსოლუტურად არანაირი განსხვავება არ არის მწვრთნელებს შორის, ყველანი ნულიდან იწყებენ B ლიცენზიისთვის საჭირო ცოდნის დაუფლებას და, რაც მთავარია, დიდ ინფორმაციას იღებენ — ეს იყო ფრანგი სპეციალისტის პასუხი ჩვენს კითხვაზე, ერთნაირად იოლია თუ არა ფრანგ და ქართველ მწვრთნელებთან მუშაობა?

დევილს ჟირესის მიმართ მადლიერების გამოხატვაც არ დავიწყებია: „ჟირესი ძალიან დიდ დახმარებას მიწევს, მას უმაღლესი სამწვრთნელი განათლება აქვს და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. ზოგადად, ეროვნული ნაკრების თამაში ასახავს, თუ რა მდგომარეობაშია ქვეყნის ფეხბურთი. მკაფიოდ ჯერ ვერ გეტყვით, კონკრეტულად ფიზმომზადების მხრივ როგორ არიან თქვენი ფეხბურთელები, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ჟირესს კარგი შედეგები აქვს".

**ილია ნანობაშვილი**

# რა დროს პერსონალურია?!

## ბენეში ხიზანას საქმეს შეუდგა: ყველაფერი ორ-სამ კვირაში გადაწყდება

*არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გაიარა და უეფას თასის ჯგუფური ეტაპიდანაც გამოვარდა — გუშინწინ „ოსერთან" 0:2 წააგო და ევროსარბიელს ჩამოშორდა. ზურაბ ხიზანიშვილი „ოსერთან" 55-ე წუთზე შეცვალეს — ეს მართლაც არ იყო ზურას საუკეთესო მატჩი, მაგრამ მთლიანად „რეინჯერსმა" ძალიან ცუდად ითამაშა. ხიზანიშვილთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...*



— „ოსერთან" ისე ვითამაშეთ, რომ ჯგუფიდან გასვლის ღირსი ნამდვილად არ ვიყავით.

— ცოტა არ იყოს, უჩვეულო პოზიციაზე იყავი გამწესებული და უჩვეულოდაც თამაშობდი...

— ალექს მაკლიშმა ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა, უფრო სწორად, რაღაცები მოიგონა. მე ჯერ საყრდენ ნახევარმცველად მათამაშა, მეორე ტაიმში კი მარჯვენა მცველად.

— საყრდენად ადრეც გითამაშია და შენი არცთუ შთამბეჭდავი თამაშის მიზეზი ალბათ მხოლოდ ეს არ უნდა იყოს...

— მაკლიშმა ბუნავენტურე კალუს პერსონალურად მეურვეობა დამავალა, რომელიც, ფაქტობრივად, ნახევარდაცვაში თამაშობს, უკან დახეული შემტევია. კალუ გამოცდილი ფეხბურთელია და ყველაფერს მიხვდა, აქეთ-იქით მოძრაობდა, მეც თან მივყვებოდი და ზონებში სივრცეები ექმნებოდათ ფრანგებს. და საერთოდ, რა დროს პერსონალური მეურვეობაა? ჩემი ასეთნაირად თამაში პრობლემას უქმნიდა მთელ „რეინჯერსს". ადრე სულ ზონურ დაცვას ვთამაშობდით და, ვფიქრობ, „ოსერთანაც" ასევე უნდა გვეთამაშა.

— მეორე ტაიმში მაკლიშმა რატომ შეგიცვალა პოზიცია?

— მარჯვენა მცველად გადამიყვანა, „ოსერი" მარცხნიდან მწვავედ უტევსო. ასეთი ცვლილებაც არ იყო გამართლებული.

— „რეინჯერსმა" გოლები რომ გაუშვა, შენი შეცდომებიც იყო...

— შეცდომა ორივე გაშვებული გოლის დროს დავუშვი და დღეს ეს მაკლიშსაც ვუთხარი, იმ ეპიზოდებში უკეთესად თამაში ნამდვილად შემეძლო.

— მაკლიშმა მეორე გაშვებული გოლის შემდეგ გამოგცვალა — ამან ძალიან დამრთგუნველად იმოქმედა შენზე?

— იმ მომენტში მწვრთნელისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ თუ შეცდომების მიხედვით განვსჯით, მაშინ ნახევარი გუნდი შესაცვლელი იყო.

— შენი აგენტის, ივან ბენეშისგან რა ისმის?

— ის უკვე გლაზგოშია და ველაპარაკე კიდეც.

— მერე რას აპირებ, კიდევ გაქვს „რეინჯერსთან" კონტრაქტის გაგრძელების სურვილი?

— „რეინჯერზე" ჯვარი ნამდვილად არ მაქვს დაწერილი. თუმც ბენეშს ახალ გუნდზე კონკრეტული არაფერი უთქვამს.

— „რეინჯერსთან" კონტრაქტი მომდევნო სეზონის ბოლოს გეწურება და კლუბი კონტრაქტის გაგრძელებას ახლა გთავაზობს — ბენეში თუ ესაუბრა „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას?

— ჰო, მაგრამ საუბარი ძირითადად „რეინჯერსს" მიჰყავდა. გავაგრძელებ თუ არა კონტრაქტს „რეინჯერსთან", ორ-სამ კვირაში გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**



*ტრადიცია გრძელდება: დღეს კუს ტბაზე, კაფე-ბარ „უიქენდში" „ბენდელას თასის" მე-13 გათამაშების წილისყრა მოეწყობა*

# ბენდელას თასი: აუცილებლად!

**აფხაზეთის ომში** ტრაგიკულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის მეგობრები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და რამდენიმე სპონსორი — სწორედ ეს ხალხი უზრუნველყოფს ყოველწლიურად, დეკემბრის მეორე ნახევარში „ბენდელას თასის" ჩატარებას და ასეა ახლაც.

ორგანიზატორებს წლეულს უფრო შორს მიმავალი მიზნებიც ჰქონდათ. კერძოდ, ტურნირზე უცხოური კლუბების მოწვევას აპირებდნენ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ამ საქმეს თავი ვერ მოება.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სპორტის სასახლის გათბობა ჯერაც შეუძლებელია და ასეთ დროს უცხოელების მოწვევას რა აზრი აქვს — გვითხრა გუშინ „ბენდელას თასის" ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქართლოს ჭუმბურიძემ.

გაირკვა, რომ წლევანდელ ტურნირში 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: „დინამო", „თბილისი", „ლოკომოტივი", „კახეთი", „ზოოვეტი", მინი-ფეხბურთის კლუბების ნაკრები „იბერია" და კიდევ ექვსი გუნდი, რომლებშიც ქართველი პროფესიონალი ფეხბურთელები იქნებიან გადანაწილებულნი.

იმასაც ამბობენ, „ბენდელას თასზე" მილანელი კახა კალაძის და დონეცკელი გიორგი დემეტრაძის თამაშიც არაა გამორიცხულიო.

— პრობლემები გვაქვს, მაგრამ „ბენდელას თასი" აუცილებლად ჩატარდება. მერიიდანაც გვპირდებიან დახმარებას და ვნახოთ, რა გამოვა. რაც უფრო მეტი ფინანსები გამოჩნდება, მით უფრო უკეთესი ორგანიზაცია იქნება — გვითხრა ქართლოს ჭუმბურიძემ.

„ბენდელას თასის" ძირითადი ტურნირის პარალელურად კვლავაც გაიმართება ბავშვთა ტურნირი. წლეულს პატარების 16 გუნდი ითამაშებს. აქედან 8 თბილისური კლუბია, დანარჩენები კი სხვადასხვა ქალაქისა.

შეგახსენებთ, რომ „ბენდელას თასის" ბოლო გამარჯვებული „მაისია" — ლადო ბურდული, გიორგი დეკანოსიძე, გიორგი შაშიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, ლაშა ჯაკობია და მათი მეგობრები წლეულსაც ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან.

**კახა შალამბერიძე**



„ბენდელას თასის" შარშანდელი ჩემპიონები: გიორგი დეკანოსიძე, ლაშა ჯაკობია და ლადო ბურდული

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# ბებერი რუს კალუც ხნავს

## მაკლიშის საშობაო საჩუქარი ფრანგებისთვის



რეინჯერსი — ოსერი. „ჩაფართა“ ცოდვა ბუნავენტურე კალუმ დაიდო

### E ჯგუფი

**მიდლსბრო 3:0 პარტიზანი**

1:0 ნემეტი (10), 2:0 დეზირე-ჟობი (22), 3:0 ჯ. მორისონი (90)

**ვილიარეალი 4:0 ეგალეო**

1:0 ექტორ ფონტი (13), 2:0 გიარე (39), 3:0 ხავი ვენტა (53), 4:0 კაზორლა (64)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| პარტიზანი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ეგალეო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

### F ჯგუფი

**რეინჯერსი 0:2 ოსერი**

0:1, 0:2 ბ. კალუ (10, 47)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, მ. ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი, ნამუში (ა. რაე 80), ხიზანიშვილი (პატონი 55), მალკოლმი, არველაძე, პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ვინალი (52)

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

48 847 მაყურებელი

**გრაცერი 2:0 ალკმაარი**

1:0 აუფჰაუზერი (41), 2:0 კოლმანი (54)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ოსერი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| გრაცერი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:3 | 6 |
| ამიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |

### G ჯგუფი

**ჰერენვენი 1:0 ბევერენი**

1:0 ბრუგინკი (26)

**შტუტგარტი 2:1 დინამო**

1:0 ტიფერტი (15), 1:1 ბოშნიაკი (66), 2:1 მეირა (75)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ჰერენვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 9:7 | 4 |
| ბევერენი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

### H ჯგუფი

**აეკ 0:2 ალემანია**

0:1 მეიერი (56), 0:2 დ. გომესი (84)

**ლილი 1:0 სევილია**

1:0 მუსილუ (77)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| სევილია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ალემანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 0 | 4 | 4:12 | 0 |

### E ჯგუფი

„ვილიარეალს“ ბერძნული „ეგალეოს“ დასაჩოქებლად ერთი საათი დასჭირდა. ესპანელებმა წაუგებლად დაასრულეს ჯგუფური ეტაპი, ხოლო ბერძნებმა — მოუგებლად. ექტორ ფონტმა მეცამეტე წუთზე გახსნა ანგარიში, პირველი ტაიმის მიწურულს კი გიარემ საუცხოოდ ითამაშა — სამ მეტოქეს გაექცა და მამადუ სიდიბეს შორეულ კუთხეში გაუტანა. შესვენების შემდეგ ექტორ ფონტმა საგოლე პასი მიითვალა — ხავი ვენტას დაუგორა ბურთი და მცველმაც ცაციით სიდიბე მესამედ დაამწუხრა. მასპინძელთა დამშვიდებულმა მწვთრნელმა 3:0-ზე რომერო და კიკე ალვარესი დაასვენა და გვერდით მიუსვა რიკელმეს, რომელიც ძირითად შემადგენლობაში არ იყო. მეოთხე გოლი კოხტა გამოვიდა. ვენტამ ქუსლით მიაწოდა ბურთი გიარეს, მისი დარტყმული მცველისგან კაზორლას მიუვიდა და მანაც ახლოდან გაათხა.

სტივ მაკლარენმა „მიდლსბროს“ მთავარმეგოლეები — მარკ ვიდუკა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი სათადარიგოებში გაამწესა. ამ ორის ნაცვლად მოთამაშე ნემეტმა და დეზირე-ჟობმა ოცდასამ წუთში წყვილი გოლი გაიტანეს. დამხვდურებმა მალევე მონახეს ღრიჭო მეტოქის დაცვაში და დეზირე-ჟობის პასით ნემეტმა „მიდლსბრო“ დააწინაურა. ამის შემდეგ „პარტიზანის“ კამერუნელმა ფორვარდმა იუხემა და ყვითელი ბარათი მიიღო, რის გამოც მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩს გამოტოვებს.

მეორე საგოლე კომბინაცია ბელგრადელთა შეცდომას მოჰყვა. ალან კედრუმ მეტოქეს ბურთი მოჰპარა, ნემეტს მიაწოდა, მან კი დეზირე-ჟობს ვალი დაუბრუნა და ფორვარდმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა. თამაშის მიწურულს მორისონმა მესამე შეაგდო, ხოლო სტუმარმა ბრნოვიჩმა საპასუხოდ „მიდლსბროს“ კარის ძელის შეტოკებაღა მოახერხა.

### F ჯგუფი

ბებერი გი რუს „ოსერმა“ გლაზგოს „რეინჯერსი“ მშრალზე დატოვა. „ჩაფრებს“ ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ წააგეს და უეფას თასს დაემშვიდობნენ.

„ჩვენ საკუთარი თავი დავამარცხეთ მატჩის ასეთი დასაწყისით“ — თქვა ალექს მაკლიშმა.

დასაწყის მასპინძლებისთვის ნაღდად შოკისმომგვრელი გამოდგა. „ოსერმა“ მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა. ბაქარი სანიამ მარჯვენა ფლანგიდან ბუნავენტურე კალუს მიაწოდა ბურთი. კალუმ „რეინჯერსის“ მეკარე შტეფან კლოსს ბურთი თავზე გადაავლო, მაგრამ ხარიხას მოარტყა, თუმც უკუგდებულს თავადვე მიუსწრო და ანგარიში გახსნა. „ოსერი“ საშობაოდ ნაადრევად დავასაჩუქრეთ — აღნიშნა მაკლიშმა — მეორე ტაიმში გაშვებულმა გოლმა საბოლოოდ მოგვსპო, არადა, შესვენებაზე ანგარიშის გათანაბრებაზე ვბჭობდით“.

ბუნავენტურე კალუმ შესვენების შემდეგ, თამაშის განახლებისთანავე მეორე გაუტანა „ჩაფრებს“, მასპინძლებმა კი მეტოქის კართან სახეირო ვერაფერი შექმნეს.

„რეინჯერსის“ თავკაცი უეფას თასიდან გავარდნამ ისე დაალონა, რომ ნამატჩევს პრესკონფერენციაზე 45 წუთი ილაქლაქა, გი რუ კი ხარობდა: „დაცვამ შეუდარებლად ითამაშა. დარწმუნებული ვიყავი, რომ „რეინჯერსს“ გავუმკლავდებოდით. „ოსერმა“ გამარჯვება დაიმსახურა. სულაც არ მგონია, რომ გუნდებს შორის კლასში დიდი განსხვავება იყო. „რეინჯერსი“ გრძელი პასებით, ბრიტანულ ყაიდაზე თამაშობდა და ასეთმა ტაქტიკამ ჩვენ გვახეირა, თუმც ჯგუფში მეორე ადგილზე გავედით და ეს ყველაზე ცუდი ადგილია“.

„გრაცერმა“ გლაზგოელთა უბედურებაზე ხელი მოითბო — „ალკმაარს“ სძლია და მესამე ადგილი გაინაღდა. ავსტრიელებმა მეტოქის დაცვის შეცდომით ისარგებლეს. იან კრომკამპმა საჯარიმოდან ბურთი უშნოდ მოიგერია და აუფჰაუზერმა ანგარიში გახსნა. მეორე ნახევარში მასპინძელთა ხორვატი ლეგიონერი ბაჟინა „ალკმაარის“ მცველებმა ორჯერ წააქციეს. პირველად მსაჯმა წაუყრუა, მეორედ კი პენალტი დანიშნა და კოლმანმა თერთმეტი მეტრიდან გაიტანა.

### G ჯგუფი

„ჰერენვენმა“ მაჩანჩალა „ბევერენს“ სძლია და მეთექვსმეტედფინალის საგზური ჩაიჯიბა. ბრუგინკმა პირველ ტაიმში დააწინაურა მასპინძლები, შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე კი სტუმრებს სეკუ უატარა უხეშობისთვის გაუძევეს. მიუხედავად ამისა, კაცნაკლულმა „ბევერენმა“ შეხვედრის მეორე ნახევარი „ჰერენვენის“ კარის სიახლოვეს გაატარა, მაგრამ ამაოდ.

მათიას ზამერის „შტუტგარტმა“ მეირას გოლის წყალობით აჯობა ზაგრების „დინამოს“ [illegible] თამაშის [illegible] რვატების, თუმც მსაჯმა თამაშგარეს გამო არ ჩაუთვალა. სამაგიეროდ, კურანის პასით ტიფერტმა იხეირა — მცველ პრანიჩს გასცდა და მეკარეც უშანსოდ დატოვა — 1:0.

ამის შემდეგ გლებმა კაკაუ „დინამოს“ მეკარესთან გაიყვანა პირისპირ, მაგრამ ბრაზილიელმა მომენტი ჩააფლავა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა სტანდარტული მდგომარეობიდან გაათანაბრეს. ბოშნიაკმა თანაგუნდელის დაბალი პასი მიიღო და ბურთი „შტუტგარტის“ კარში შეაბრძანა. თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ფერნანდო მეირამ იღბალა გოლი გაიტანა — ბურთი მეტოქისგან მიუვიდა და საჩუქარი შეირგო — 2:1.

### H ჯგუფი

აეკ-ს შეეძლო სანკტ პეტერბურგის „ზენიტისთვის“ ეშველა, მაგრამ ნევისპირელებს კვანტი დაუდო — „ალემანიასთან“ შინ წააგო და მეთექვსმეტედფინალში მეორე ბუნდესლიგის გუნდი გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები პირველი ტაიმის განმავლობაში სახიფათოდ უტევდნენ, შესვენების შემდეგ გოლი თავად გაუშვეს. რაინერ პლასენრიხმა საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა, ბურთი ძელიდან დაბრუნდა, რომელსაც მეიერმა მიუსწრო და ანგარიში გახსნა. ნიკოს ლიბეროპულოსს მალევე შეეძლო გაექვითა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი გაანიავა — კარს ახლოდან ააცილა. მატჩის დამთავრებას ოთხი წუთი აკლდა, ბლანკმა გომესი საგოლე პასით რომ დაასაჩუქრა და „ალემანიას“ ფორვარდმაც ათიოდ მეტრიდან მეორე გაიტანა.

ფრანგულმა „ლილმა“ კი შეცვლაზე შესული მუსილუს წყალობით „სევილია“ დაამარცხა, თუმც ესპანური გუნდი მესამე ადგილზე დარჩა და ჯგუფიდან გავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**




შტუტგარტი — დინამო. ზაგრებელმა სტუმრებმა კევინ კურანი ალყაში მოიმწყვდიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლივერპულის მოსამაგრებლად მორიენტესი 8 მილიონად გაწითლდება

„ლივერპული" ახლოა, რომ ფერნანდო მორიენტესს წითელი მაისურა ჩააცვას.

„რეალმა" გამოაცხადა, მორიენტესის თაობაზე ყველა წინადადებას ყურადღებით მოვისმენთო. როგორც ამბობენ, „რეალი" ფულს აგროვებს, რათა „ზაფხულში" „ინტერს" ბრაზილიელი ადრიანო აართვას. თუ ამას „ლივერპულის" ტრავმების ეპიდემიასაც დავუმატებთ და იმასაც, რომ „მონაკოდან" დაბრუნებული მორიენტესი კვლავაც ვერ მოხვდა „რეალის" ძირითადში, მაშინ ყველაფერი გასაგები შეიქნება.

„ამ ზამთარს სიამოვნებით წავიდოდი სხვაგან" — ეს სწორედ მორიენტესის სიტყვებია. „რეალი" კი მის სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქას ითხოვს. ერთი მინუსი ისაა, რომ რაფა ბენიტესი ჩემპიონთა ლიგაში ვერ გამოიყენებს ფერნანდოს.

„ლივერპულში" ყველა გრძნობს, რომ ახალი ხალხის დამატებაა საჭირო. მცველმა ჯეიმი კარაგერმა თქვა, რომ გუნდი უბრალოდ ვერ გაწვდება ორ ფრონტზე ბრძოლას. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შემდეგ „ლივერპულმა" პრემიერლიგის 2 მატჩში მხოლოდ ქულა აიღო. „ევერტონთან" წაგება მეკარე კრის კირკლანდს დაბრალდა, მომდევნო თამაშში კი მისმა შემცვლელმა ირჟი დუდეკმა აჩუქა 2 ქულა „პორტსმუთს".

მორიენტესთან ერთად „ლივერპული" „სიტის" ნიკოლა ანელკასაც უმიზნებს, რომელსაც ადრეც უთამაშია „ენფილდზე". რაფა ბენიტესს უკრაინული „შახტარის" ნახევარმცველ დარიო სრნაზე დაუდგამს თვალი და „ლიდსის" ზლაპრულ ახალგაზრდა მეკარე სკოტ კარსონზეც, თუმცა, ამ ორს უფრო ზაფხულისთვის ელიან.

**ირაკლი გამყრელიძე**

## არ ვთხრიდიო, ამბობს სევიჯი

**კვირას** რომ ბრამ-დერბიში ბირმინგემელმა რობი სევიჯმა ვილელ ოლაფ მელბერგს მიპარვით დაუპირა თვალის გამოთხრა, ეს ამბავი, თითქოს მაინც შემთხვევითობად ჩაითვალა: ძიძგილაობაში, უნებურად მოხდაო.

თავად მელბერგმა კი, რომელიც სევიჯზე არანაკლებ ბობოქარი ჯეილია, თქვა, ბირმინგემელები ეტყობა იმიტომ მომესიენ, რომ წინა დღეებში ინტერვიუში ვთქვი, ეგ გუნდი არ მიყვარსო.

„ბირმინგემის" პრესსამსახურმა კი ქალალდი გაავრცელა, სევიჯს თვალის გამოთხრა არც უფიქრია, ძიძგილაობაში მელბერგის განზე გაყვანას ცდილობდაო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მილანი სამ ხმაში

*მილანელი ფეხბურთელები, იტალიელი პაოლო მალდინი, ქართველი კახა კალაძე და ბრაზილიელი დიდა შაბათის დიდი იტალიური დერბისთვის ემზადებიან და აზრს გულშემატკივარსაც უზიარებენ. ცხადია, კარგად მოგეხსენებათ, რომელ დერბიზეცაა ლაპარაკი — ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე „იუვენტუსი" — „მილანია", როგორც ამბობენ, სკუდეტოს ბედთან მნიშვნელოვნად დაახლოებული შეხვედრა. ამ ტურის შემდეგ სერია A 6 იანვრამდე საშობაო არდადეგებზე მიდის*


პაოლო მალდინი: იუვენტუსი ეცდება კონტრშეტევაზე გამოგვიჭიროს



კახა კალაძე: ბოლონიასთან იუვე დასუსტებული მეჩვენა

„ჩვენ გვიწევს თამაში გუნდთან, რომელიც არასდროს ნებდება — თქვა „შავ-წითლების" კაპიტანმა მალდინიმ — მაგრამ საერთოდ არ ვნერვიულობთ, რადგან ვიცით, რომ საუკეთესო ფორმაში ვართ".

შეგახსენებთ, რომ ცხრილში პირველ ადგილზე „იუვენტუსია", ის „მილანს" 4 ქულით უსწრებს.

მალდინიმ განაგრძო: „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რა პრობლემებიც გველის „დელე ალპიზე". სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო დაცვაში გალწევა და გოლის გატანა ძალიან ძნელია. თან, ვფიქრობ, „იუვენტუსი" სწორედ დაცვიდან ამჯობინებს თამაშს. ის შეეცდება კონტრშეტევაზე გამოგვიჭიროს, ამიტომაც ბურთი ძალიან სწრაფად უნდა ვათამაშოთ აქეთ-იქით".

უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ „დელე ალპი" გაივსება. ამის გარანტიას წინასწარ გაყიდული ბილეთების რაოდენობა იძლევა, თუმცა კახა კალაძეს შიშისა მაინცდამაინც არაფერი ეტყობა.

„წინა ტურში „ბოლონიასთან" „იუვენტუსის" თამაშს რომ ვუყურე, დასუსტებული მეჩვენა. ტურინელებმა სეზონი ჩინებულად დაიწყეს, მაგრამ დღესდღეობით იმ დონესთან ახლოსაც ვერ მიდის. „მილანი" პირიქით, დასაწყისში ვერ თამაშობდა მთლად ძლიერად, ახლა კი საუკეთესო ფორმაში ვართ და ბოლო თამაშის შედეგი, 6:0 „ფიორენტინასთან", დამატებით სტიმულს გვაძლევს. მოკლედ, ეს იქნება წლის მატჩი".

ახლა, რაც შეეხება ნიშნებს და დაცდას. „მილანს" შობისწინა მატჩი ბოლო ათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული.

– „საერთოდ, შესვენების წინ შეიძლება კაცი ცოტა მოდუნდეს, მაგრამ არა მაშინ, როდესაც „იუვენტუსს" უნდა შეხვდე. შაბათს ჩვენს გონებაში არდადეგებს ყველაზე ნაკლები ადგილი ეკავება" — ამბობს კალაძე, რომელიც ითამაშებს ამ „წლის მატჩში" თუ არა, ჯერ უცნობია.


დიდა: ბუფონის თამაშის ცქერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს

და ბოლოს, ნელსონ დიდა, რომელმაც დიდი იტალიური დერბის წინ მეტოქე გუნდის მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის ქება ამჯობინა ყველაფერს.

„ბუფონი მართლაც საგანგებო ფეხბურთელია — თქვა თავადვე დიდებულმა მეკარემ — მე მისი თამაშის ცქერა და შესწავლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მისგან ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობ და მსოფლიოში საუკეთესოდ რომ ასახელებენ, გულზე ცუდად არ მხვდება, ვინაიდან ჩემს თავს მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ ვერ ვგრძნობ. პირიქით, მირჩევნია ვიფიქრო, რომ უარესი ვარ და მუდამ ოსტატობის ასამაღლებლად ვიზრუნო".

**პაპუნა ქედია**

# ფრანჩესკო კოკო უხელფასოდ ბრუნდება




*ინტერელი ფრანჩესკო კოკო სერია A-ს სცენაზე დასაბრუნებლად მზად არის — იგი 13 თვის განმავლობაში ვერ თამაშობდა ტრავმის გამო.*

*ასე და ამგვარად, მარცხენა მცველმა „ბრეშასთან" უკვე შეიძლება ითამაშოს, კოჭმარული ტრავმა დავიწყებული და დაძლეულია.*

„თავს საუცხოოდ ვგრძნობ და მზად ვარ, გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო — განაცხადა იტალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა — პრობლემები მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა, ჩემთვის კარიერა ხელახლა იწყება და ერთი სული მაქვს, როდის გავალ მოედანზე".

ბოლოს კოკომ 2003 წლის ნოემბერში ითამაშა, როდესაც „ინტერმა" „ანკონას" 3:0 მოუგო, შემდეგ კი ზურგის ტკივილები დაეწყო. მას მერე იყო ხანგრძლივი და მტანჯველი მკურნალობის კურსი, რომელიც ამ შემოდგომაზე, იტალიის თასის ერთ-ერთ შეხვედრაში მონაწილეობით დასრულდა, მაგრამ ახლა, მე-16 ტურში, ტრავმირებული ჯუზეპე ფავალის მაგივრად კოკოს სერია A-ში სრულფასოვანი დაბრუნებაა მოსალოდნელი.

„მწვრთნელმა მიმანიშნა, რომ შანსი მალე მომეცემა — თქვა კოკომ — საუკეთესო ფორმაში შესასვლელად დრო კი მჭირდება, მაგრამ მენტალურად ძლიერი ადამიანი გახლავართ და ეჭვი არ მეპარება, რომ 90 წუთის განმავლობაში სირბილს შევძლებ".

შეგახსენებთ, რომ „შავ-ლურჯებამდე" ფრანჩესკო კოკო „მილანსა" და „ბარსელონაში" გამოდიოდა.

„ერთ წელიწადზე მეტია, ბურთისთვის ფაქტობრივად ფეხი არ დამიკარებია. მაგრამ ამის მიუხედავად, „ინტერი" ჩემთან ძალიან ახლო ურთიერთობას ინარჩუნებდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემი კონტრაქტის ბოლო წელიწადი უხელფასოდ უნდა ვითამაშო. „ინტერიდან" წასვლის არანაირი სურვილი აღარ მაქვს, სხვა გზები ჩემთვის აღარ არსებობს" — დასძინა მცველმა.

**პაპუნა ქედია**

# პარმასა და პარმელებზე გაგიჟებული გედეონე

## რომაზე მეოცნებე ჯილარდინომ კარმინიანს გაუგო

*პიეტრო კარმინიანიმ, რომელსაც იტალიაში გედეონეს ეძახიან, პრესკონფერენცია მოიწვია და განმარტა, რომ დათანხმდა „პარმას“ მწვრთნელობაზე*





„მინდა ჩემი წინამორბედის, სილვიო ბალდინის მისალმებითა და გამხნევებით დავიწყო. იმაში, რაც მიმდინარე სეზონში „პარმას“ თავს ხდება, მისი არანაირი ბრალი არ არის — ბრძანა გედეონემ, რომელიც, როგორც გუშინდელ „სარბიელში“ მოგახსენეთ, რამდენიმე წლის წინათაც წვრთნიდა „ჯალობლუს“ და ერთი, რომ ცუდად დაწყებული სეზონის ბოლოს სერია A-ში დატოვა, იტალიის თასიც მოაგებინა — მე აქ იმიტომ ვარ, რომ ამ კლუბზე ვგიჟდები. კლუბის გარდა, ვგიჟდები ქალაქ პარმაზე და ყველა პარმელზე“.

შემდეგ, გედეონემ გაიხსენა ის დრო, როდესაც პირველად ედგა „პარმას“ სათავეში.

„მაშინ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები მყავდნენ, მაგრამ რალაც მიზეზის გამო მათგან ერთი გუნდის შეკვრა არ მოხერხდა. ახლა „პარმაში“ ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ, ხოლო ასეთი ახალგაზრდა გუნდი დიდებული ფეხბურთის თამაშზე უნდა იყოს კონცენტრირებული. ამ ასაკის ხალხს სამუშაო ეთიკა და შედეგის ერთფეროვანი მუშაობით გამოწურვის ჩვევა ჯერ არ აქვს. ასეთმა გუნდმა მუდმივად უნდა შეუტიოს და მეტოქის ნაბიჯს უბრალოდ არ უნდა უცადოს“.

მაშინ, 2001-02 წლების სეზონში კარმინიანი სამი მცველით თამაშობდა, დღეს კი ბალდინისეული 4-2-3-1 დახვდა.

„ყველაზე იოლი სამოქმედო ოთხმცველიანი დაცვაა — განმარტა მწვრთნელმა — მცირე გადაადგილებით იგი უშუალოდ მატჩის მსვლელობისას შეიძლება გარდაიქმნას სხვა სისტემად“.

და ბოლოს, ახალგაზრდა პარმელთა შორის ყველაზე გამორჩეულზე, ალბერტო ჯილარდინოზე:

„თუ ალბერტო ჯილარდინო ჯანმრთელადაა, ის ითამაშებს. არ მაინტერესებს მისი ძალების გამოზოგვა და, ვთქვათ, „რომასთან“ თამაშის წინ უეფას თასის შეხვედრიდან დასვენება. მთელი გუნდი კი უნდა დაეხმაროს მას. მაგალითად, გრძელი პასებით მოამარაგოს, თორემ ხშირად მეტოქეები ორი-სამი მცველით მეურვეობენ და მას სამოქმედო სივრცე ეზღუდება“ — ბრძანა გედეონემ. ჩვენ კი ჯილარდინოსა და „რომას“ თემა განვავრცოთ: მიუხედავად იმისა, რომ იტალიურმა მედიამ პარმელი თავდამსხმელი, ფაქტობრივად, უკვე „მილანში“ გადასულად გამოაცხადა, თავად ფეხბურთელმა წამოიკვნესა, რომ ცალი თვალით ჯერ მაინც „რომასკენ“ იყურება.

„გასულ ზაფხულს შემეძლო დედაქალაქში წავსულიყავი — განაცხადა 22 წლის ფორვარდმა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, კვირას სწორედ „რომას“ კარს შეუტევს — მაგრამ ბოლოს კიდევ ერთი სეზონით „პარმაში“ დარჩენა ვამჯობინე და, ვფიქრობ, არ შევმცდარვარ. იანვარშიც აშკარად არსად წავალ, მაგრამ ივნისში ვნახოთ, რა მოხდება“.

შეგახსენებთ, რომ ჯილარდინოს „პარმაში“ ბრაზილიელი ადრიანოს „ინტერში“ გადასვლის შემდეგ გაეხსნა ხელ-ფეხი და ისე ითამაშა, რომ დიდი კლუბების ნადირობის საგნად იქცა. ყველაზე მეტად, ეტყობა, მაინც „მილანი“ და „იუვენტუსი“ აქტიურობდნენ, თუმცა თავად ფეხბურთელს, არ არის გამორიცხული, რომ „რომა“ ერჩივნა და ურჩევნია ყველაფერს.

| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 225 | გაზიანთეფი-გენჩლერბირლიგი | 1.9 | 3.1 | 3.85 | 1.17 | 1.27 | 1.71 |
| 17:00 | 226 | ტრაბზონი-ისთანბული | 1.25 | 4.6 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.04 |
| 17:00 | 227 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ფენერბაჩე-კონია | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 229 | საკარია-მალათია | 3.1 | 3.0 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 15:00 | 230 | ანკარა-კაისერი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 15:00 | 231 | დიარბაქირი-სამსუნი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 232 | ბეშიქთაში-სებათი | 1.2 | 5.1 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.31 |

**სამხ.ამერიკ.თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 263 | ბოკა ხუნიორსი-ბოლივარი | 1.25 | 4.4 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 2.89 |

**ჰოკეი. გერმანია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 273 | დიუსელდორფი-ჰანოვერი | 1.55 | 4.5 | 3.4 | 1.15 | 1.06 | 1.93 |
| 21:30 | 274 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 2.15 | 4.2 | 2.3 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 21:30 | 275 | ფრანკფურტი-აუგსბურგი | 1.55 | 4.5 | 3.7 | 1.15 | 1.09 | 2.03 |
| 21:30 | 276 | კასელი-ვოლფსბურგი | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 21:30 | 277 | კიოლნი-იზერლონი | 1.4 | 4.4 | 4.8 | 1.06 | 1.08 | 2.29 |
| 21:30 | 278 | კრეფელდი-აისბარენი | 2.15 | 4.1 | 2.3 | 1.41 | 1.11 | 1.47 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 2.1 | 2.0 | 4.3 | 1.02 | 1.41 | 1.36 |
| 10005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.3 | 3.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.38 |
| 10006 | ბოლტონი-სიტი | 2.5 | 2.1 | 3.6 | 1.14 | 1.47 | 1.32 |
| 10007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.3 | 3.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.28 |
| 10010 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10011 | პორტსმუთი-არსენალი | 5.4 | 2.3 | 1.9 | 1.61 | 1.4 | 1.04 |
| 10012 | ჩარლტონი-ფულემი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10080 | მესინა-ატალანტა | 2.1 | 2.0 | 4.2 | 1.02 | 1.39 | 1.35 |
| 10081 | იუვენტუსი-მილანი | 2.9 | 2.0 | 3.4 | 1.18 | 1.56 | 1.25 |
| 10082 | რომა-პარმა | 1.85 | 2.3 | 6.0 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 10083 | ბოლონია-რეჯინა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10084 | ლეჩე-სამპდორია | 2.6 | 2.1 | 3.2 | 1.16 | 1.43 | 1.26 |
| 10085 | ინტერი-ბრეშა | 1.5 | 2.7 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.94 |
| 10086 | ფიორენტინა-კიევო | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10087 | უდინეზე-ლაციო | 2.2 | 2.0 | 4.1 | 1.04 | 1.43 | 1.34 |
| 10088 | სიენა-ლივორნო | 2.7 | 2.2 | 3.1 | 1.21 | 1.44 | 1.28 |
| 10089 | პალერმო-კალიარი | 2.2 | 2.0 | 4.0 | 1.04 | 1.41 | 1.33 |
| 10121 | ლევანტე-ალბასეტე | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10122 | სარაგოსა-ბილბაო | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10123 | სევილია-ბეტისი | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 3.3 | 2.1 | 2.7 | 1.28 | 1.48 | 1.18 |
| 10125 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.1 | 2.2 | 4.1 | 1.07 | 1.38 | 1.43 |
| 10126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.85 | 2.0 | 3.65 | 1.17 | 1.6 | 1.29 |
| 10127 | ვილიარეალი-მალაგა | 2.1 | 2.2 | 4.1 | 1.07 | 1.38 | 1.43 |
| 10128 | მალიორკა-ოსასუნა | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10129 | რასინგი-რეალი | 4.2 | 2.0 | 2.1 | 1.35 | 1.39 | 1.02 |
| 10130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.95 | 2.2 | 4.8 | 1.03 | 1.38 | 1.5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.65 | 2.3 |
| 14005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.15 | 2.8 |
| 14006 | ბოლტონი-სიტი | 1.8 | 2.0 |
| 14007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.7 | 2.2 |
| 14008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.9 | 1.9 |
| 14009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.15 | 2.8 |
| 14010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.65 | 2.3 |
| 14011 | პორტსმუთი-არსენალი | 2.4 | 1.6 |
| 14012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 2.2 |
| 14080 | მესინა-ატალანტა | 1.65 | 2.3 |
| 14081 | იუვენტუსი-მილანი | 1.8 | 2.0 |
| 14082 | რომა-პარმა | 1.3 | 2.5 |
| 14083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14084 | ლეჩე-სამპდორია | 1.8 | 2.0 |
| 14085 | ინტერი-ბრეშა | 1.2 | 2.6 |
| 14086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 2.2 |
| 14087 | უდინეზე-ლაციო | 1.65 | 2.3 |
| 14088 | სიენა-ლივორნო | 1.8 | 2.0 |
| 14089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.7 | 2.2 |
| 14123 | სევილია-ბეტისი | 1.8 | 2.0 |
| 14124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.95 | 1.85 |
| 14125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.45 | 2.4 |
| 14126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.8 | 2.0 |
| 14127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.45 | 2.4 |
| 14128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.8 | 2.0 |
| 14129 | რასინგი-რეალი | 2.3 | 1.65 |
| 14130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.45 | 2.4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.4 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11006 | ბოლტონი-სიტი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 11008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.4 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11010 | ლივერპული-ნიუკასლი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11011 | პორტსმუთი-არსენალი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11012 | ჩარლტონი-ფულემი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11080 | მესინა-ატალანტა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11081 | იუვენტუსი-მილანი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11082 | რომა-პარმა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11083 | ბოლონია-რეჯინა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11084 | ლეჩე-სამპდორია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11085 | ინტერი-ბრეშა | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11086 | ფიორენტინა-კიევო | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11087 | უდინეზე-ლაციო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11088 | სიენა-ლივორნო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11089 | პალერმო-კალიარი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11121 | ლევანტე-ალბასეტე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11122 | სარაგოსა-ბილბაო | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11123 | სევილია-ბეტისი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11125 | სოსიედადი-ხეტაფე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11127 | ვილიარეალი-მალაგა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7. |
| 11128 | მალიორკა-ოსასუნა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11129 | რასინგი-რეალი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11130 | ბარსელონა-ვალენსია | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.4 | 4.6 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ჩელსი-ნორვიჩი | 2.0 | 1.6 |
| 12006 | ბოლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.8 | 1.8 |
| 12008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | მანჩესტერი-კრ. პალასი | 2.0 | 1.6 |
| 12010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12011 | პორტსმუთი-არსენალი | 1.8 | 1.8 |
| 12012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 12080 | მესინა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12081 | იუვენტუსი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12082 | რომა-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 12083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12084 | ლეჩე-სამპდორია | 2.0 | 1.6 |
| 12085 | ინტერი-ბრეშა | 2.0 | 1.6 |
| 12086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12087 | უდინეზე-ლაციო | 1.8 | 1.8 |
| 12088 | სიენა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.6 | 2.0 |
| 12122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12123 | სევილია-ბეტისი | 1.6 | 2.0 |
| 12124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 12128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12129 | რასინგი-რეალი | 1.8 | 1.8 |
| 12130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13006 | ბოლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13011 | პორტსმუთი-არსენალი | 1.8 | 1.8 |
| 13012 | ჩარლტონი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | მესინა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13081 | იუვენტუსი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13082 | რომა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13083 | ბოლონია-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13084 | ლეჩე-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 13085 | ინტერი-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13086 | ფიორენტინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13087 | უდინეზე-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13088 | სიენა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13089 | პალერმო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 13123 | სევილია-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |
| 13125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 13127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13128 | მალიორკა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13129 | რასინგი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ჩელსი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ბოლტონი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ლივერპული-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | პორტსმუთი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ჩარლტონი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | მესინა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | იუვენტუსი-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | რომა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | ბოლონია-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ლეჩე-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ინტერი-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ფიორენტინა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | უდინეზე-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | სიენა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | პალერმო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | ლევანტე-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15122 | სარაგოსა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15123 | სევილია-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15125 | სოსიედადი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15127 | ვილიარეალი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15128 | მალიორკა-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15129 | რასინგი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15130 | ბარსელონა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლევან ახვლედიანი


რამაზ გოგლიძე


ბადრი პატარკაციშვილი


ბეჟან ხურციძე

# ოლიმპიელები ოთხი კანდიდატიდან მესამე პრეზიდენტს აირჩევენ

დღეიდან საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი თავკაცი ეყოლება. ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, რომელიც სეოკ-ს 1996 წლის შემოდგომიდან მეთაურობს, ამ პოსტზე კენჭს აღარ იყრის. მის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ფონდის ფედერაციის პრეზიდენტი, იმავდროულად სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი და ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე.

ჩვენ აქ სეოკ-ის საჭეთმპყრობელობის მსურველნი გარკვეული მოსაზრებების გამო ანბანის მიხედვით ჩამოვთვალეთ. შეიძლებოდა ეს იმის მიხედვითაც გაგვეკეთებინა, თუ ვინ რა თანმიმდევრობით გამოთქვა სეოკ-ის პრეზიდენტობაზე არჩევნებში მონაწილეობის ოფიციალური სურვილი. ასეთ შემთხვევაში პირველი ისევ ახვლედიანი იქნებოდა, მას კი მოჰყვებოდნენ პატარკაციშვილი, ხურციძე და გოგლიძე.

შეგვეძლო პრეზიდენტების მსურველნი მათი შანსების მიხედვითაც ჩამოგვეთვალა, მაგრამ შესაძლოა, ვინმეს ეს მიკერძოებაში ან რომელიმე კანდიდატის მიმართ რეკლამირება ჩამოგვართვას.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ და დღეს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში შეკრებილი სესიის მონაწილე დელეგატები იმედია, სწორ არჩევანს გააკეთებენ.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სეოკ-ის პრეზიდენტობის სურვილს გამოთქვამდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც, რომლის ამგვარ ოფიციალურ განცხადებასაც „თავის დროზე“ აჟიოტაჟი მოჰყვა. აქ „თავის დროზე“ შემთხვევით არ ჩაგვისვამს ბრჭყალებში, რადგან მას ოფიციალური განცხადების გაკეთება ცოტა უდროო დროს მოუხდა, ანუ როცა საამისო ვადა ამოწურული იყო. იყო სხვა დელიკატური საკითხებიც, მაგრამ ბოლოს მისი განცხადება მაინც მიიღეს, თუმცა, ამას წინათ ირაკლი მეძმარიაშვილმა უარი თქვა „საარჩევნო მარათონზე“ და განცხადება უკანვე გაიტანა.

სეოკ-ის პრეზიდენტობის მოსურნედ დარჩენილთაგან ამგვარ არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ რამაზ გოგლიძესა და ბეჟან ხურციძეს, რომლებიც ოთხი წლის წინათაც ცდილობდნენ ოლიმპიური სადავეების ხელში აღებას, თუმცა, მაშინ ჯანო ბაგრატიონმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, როცა 166-დან 129 ხმა მიიღო.

ასეა თუ ისე, დღეიდან საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის საანგარიშო-საარჩევნო სესიაც ამ ორგანიზაციის საიუბილეო, თხუთმეტ წლისთავს ემთხვევა, ნონა გაფრინდაშვილისა და ჯანო ბაგრატიონის მერე ახალი, რიგით მესამე პრეზიდენტი ეყოლება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჭიდაობა

*ვეტერანი მოჭიდავე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბაკურ გოგიტიძე ჭიდაობაში მოტრიალე ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით სარგებლობს. ეს ორიოდ დღის წინ ჩატარებულმა ყრილობამ დაამტკიცა, რომელზეც გოგიტიძე ფედერაციის პრეზიდენტად ასპროცენტიანი მაჩვენებლით აირჩიეს. როცა გადასაწყვეტი აღარაფერი დარჩა და დელეგატებიც ისის იყო დარბაზს ტოვებდნენ, ახალმა პრეზიდენტმა წინასწარ მომზადებული სიურპრიზიც გაამხილა. ხალხს პრეზიდენტმა ფედერაციის გენერალური სპონსორის გამოჩენა ამცნო, ამიერიდან ჭიდაობას ზესტაფონის „ფერო“ უპატრონებსო. თქმა არ უნდა, ამ განცხადებით გოგიტიძემ თავისი სამუშაო გეგმის ნათელი მომავალიც გამოაჩინა. ახალი სეზონის დაწყებამდე ერთი თვეღა რჩება და პრეზიდენტს პირველი ინტერვიუც ვთხოვეთ.*

# ფერო ჭიდაობასაც აწარმოებს

## ბაკურ გოგიტიძე: ნაკრების წევრებმა საქართველოშიც უნდა იჭიდაონ


*ბაჩო ქორიძის ფოტო*

— პირველ რიგში გილოცავთ გაპრეზიდენტებას. როდის გადაწყვიტეთ ამ თანამდებობაზე მისვლა?

— რამდენიმე თვის წინ ჭიდაობაში მოტრიალე ერთმა ჯგუფმა შემომთავაზა კენჭისყრაში მონაწილეობა და მხარში დგომა აღმიქვა. ცხადია, თავიდანვე არ დავთანხმებულვარ. კონსულტაციები გავიარე სპეციალისტებთან, შექმნილ ვითარებას ძირფესვიანად გავეცანი და მუშაობასაც შევუდექი.

— საჭიდაო სამყაროსთან შეხვედრებს ალბათ განაცხადის შეტანამდეც დაიწყებდით. რითი დაიმსახურეთ მათი ნდობა?

— სამთვიან მონაკვეთში თითქმის მთელი საქართველო მოვიარე. შევხვდი ყველა იმ რეგიონის წარმომადგენელს, საიდანაც დიდი მოჭიდავეები მოდიან. ამ შეხვედრებისას გვერდით მუხრან ვახტანგაზე, მანუჩარ კვირკველია, ალექსანდრე დოხტურიშვილი და სხვა ჩემპიონები მედგნენ. ჩემი პროგრამის გაცნობის შემდეგ ყველა კმაყოფილი იყო და მხარდამჭერთა სიაც ნელნელა იზრდებოდა.

— საქმის სიყვარულის გარდა ჭიდაობის გასაძლოლად ძლიერი ფინანსური ზურგიც აუცილებელია. სპონსორთანაც არჩევნებამდე გაარკვიეთ ურთიერთობა?

— რა თქმა უნდა, პარალელურად ფინანსურ პარტნიორებთანაც მიდიოდა მოლაპარაკებები და ეს საქმეც მალევე მოგვარდა. გამოჩნდნენ ბიზნესმენები, საქართველოში ჭიდაობის განვითარებით სერიოზულად რომ არიან დაინტერესებულნი. ჭიდაობის ფედერაციის გენერალური სპონსორი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა იქნება.

— თუ ეს ადრევე იცოდით, არჩევნების დასრულებამდე რატომ არ გაამხილეთ?

— ამით სპეკულირება არ მინდოდა. გადავწყვიტე, მატერიალური კეთილდღეობის გარანტიის გარეშე, სამართლიანად დაეჭირათ მხარი. სპორტსმენი პირველ ადგილზე ღირებას უნდა აყენებდეს და მიხარია, რომ ეს დღესაც ასეა.

— ყრილობაზე მოსული ხელისუფლების წარმომადგენლების რეკომენდაციაც, არჩევნების გადადების თაობაზე, იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ თქვენს უკან ფინანსები არ ჩანდა?

— შეიძლება, მე ხომ ფინანსები მანამდე არსად მიხსენებია. როდესაც გია ნაცვლიშვილის განცხადება მოვისმინე, გადავწყვიტე, პირველ რიგში მისთვის გამემხილა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ყრილობა ნაადრევად დატოვა. გარწმუნებთ, ჩვენს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. ერთმანეთს კიდევ არაერთხელ შევხვდებით და ქართული ჭიდაობის საკეთილდღეო გადაწყვეტილებებსაც ერთად მივიღებთ.

— თუ საიდუმლო არ არის, კერძოდ რაზე აისახება „ფეროს“ დაფინანსება და თუ არის განსაზღვრული თანხა, რომელსაც, მაგალითად, წლიურად გაიღებს?

— ამას ჩვენი ფინანსური პარტნიორები იანვრის ბოლოს, ახალი პრეზიდიუმის სხდომაზე თავად განაცხადებენ. მე ვერაფერს გეტყვით. უკეთესი იქნება, ცოტაც მოიცადოთ. მთავარია, რომ დასტური მოცემულია და თანამშრომლობაც აქედანვე გადაწყვეტილია.

— მომავალი სეზონის კალენდარი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე შედგა და პრეზიდენტის ხელმოწერაღა აკლდა. თუ გაეცანით?

— ცხადია, გავეცანი და ყოველგვარი შენიშვნის გარეშეც დავთანხმდი. ეს კალენდარი ხომ იმ ხალხმა შეადგინა, მე რომ ამირჩია და, რაც მთავარია, ამ საქმეშიც უდიდესი გამოცდილება აქვს. ასე რომ, პრეზიდენტი ვინც უნდა გამხდარიყო, კალენდარზე აუგს ვერავინ იტყოდა.

— უკვე გვითხარით, რომ თქვენი გეგმა გაქვთ. მასში უმთავრესი პრიორიტეტი რა არის?

— პირველი, რა თქმა უნდა, ჭიდაობის კიდევ უფრო გაძლიერება და პოპულარიზაციაა, საამისოდ კი ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს დონეზე აყვანაა. ვისაც ნაკრებში მოხვედრა უნდა, საქართველოს ჩემპიონატზე შედეგიანად უნდა იჭიდაოს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის გუნდი სწორედ შიდა შედეგებით დაკომპლექტდება.

— ბოლოს მამლუქებზეც ვთქვათ. გავრცელდა ხმა, თითქოს თქვენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ალექსანდრე დოხტურიშვილი საბოლოოდ დაგვიბრუნდებოდა. მართალია?

— იგი ჩემი უახლოესი მეგობარია. თბილისში ჩემთან ცხოვრობს და მხურვალედაც მქომაგობდა. გამარჯვება გერმანიიდან მომილოცა. რაც შეეხება დაბრუნებას, ამაზე ჯობს, თავად თქვას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ფააფუ, ჰოკეი!

## გარი ბეტმენმა თავისი გაიტანა. სეზონი გადაიტანა

ახლა გინდ ბეტმენსა და გუდენაუს გადააბრალეთ, გინდ ეშმაკს, ფაქტია — წლეულს ნჰლ აღარ იქნება!
99 პროცენტით ასეა. ჩინოვნიკებმა ბევრი ისაუბრეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, შედეგად კი ჰოკეისტებმა იზარალეს.
განსაკუთრებით ეს კანადელებზე ითქმის, მათთვის ჰოკეი ხომ მთავარი გართობაა, ზოგისთვის კი ცხოვრების აზრი



### ლოკაუტის ქრონიკა

[illegible]

### რა მელის?

[illegible]

### კომენტარები

[illegible]

### ცოტა ირონია სევდიან დღეს

[illegible]

P.S. [illegible]

**სამველ ლარიბიანი**



**ევროპის VI ჩემპიონატი. ქალები**

უნგრეთი. 9-19 დეკემბერი



რიკე თორგერსენის (№10) [illegible]

# უკრაინა სხვების იმედზეა

**მეორე** [illegible]

[illegible]

**პირველი ჯგუფი**

რუსეთი 28:24 უკრაინა
თურქეთი 30:28 სლოვენია
ნორვეგია 39:24 სერბეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 0 | 0 | 117:97 | 8 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | 121:109 | 4 |
| სლოვენია | 2 | 0 | 2 | 117:110 | 4 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 114:111 | 4 |
| უკრაინა | 2 | 0 | 2 | 100:104 | 4 |
| სერბეთი | 0 | 0 | 4 | 108:146 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

გერმანია 29:23 ავსტრია
უნგრეთი 31:25 რუმინეთი
დანია 22:20 საფრანგეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 4 | 0 | 0 | 123:102 | 8 |
| დანია | 3 | 0 | 1 | 98:91 | 6 |
| გერმანია | 2 | 0 | 2 | 104:100 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 105:106 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 3 | 110:117 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 4 | 97:121 | 0 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## დოლიძემ ბურჯი ფეხზე დააყენა

# თელაველები ყინვაშიც გათბნენ

16 დეკემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 71:87 ბურჯი**

15:18 20:28 21:19 15:22

სსუ: ნინუა (14), პატარაია (11), იმედაშვილი (2), ზანგურაშვილი (12), ქვილითაია (4); ონიკაშვილი (15), გოლეთიანი (13), ჭოველიძე

ბურჯი: პაპუნაშვილი (9), აკოლაშვილი (16), ნუცუბიძე (16), დოლიძე (26), დოლმაზაშვილი (6); ქისტაური (12), ამირანაშვილი (2), შერმადინი, ქუჯაიძე, სეხნიაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**დინამო 93:74 თსუ**

20:15 28:9 24:31 21:19

დინამო: გამყრელიძე (9), ხეცურიანი (24), ლოსაბერიძე (9), ლაფანაშვილი (13), კილაძე (7); ბექაური (10), კვიმსაძე (9), ბ. ბერიშვილი (8), სუხიშვილი (4)

თსუ: ვეფხვაძე (2), მაისურაძე (16), ფანჩულიძე (6), ბაქრაძე (14), კოკოლიშვილი (9); მარხვაშვილი (19), გაფრინდაშვილი (4), ლომიძე (2), ბერაია (2), ხიზანიშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

**ავიამშენი 93:74 მაკაბი**

24:16 25:22 23:18 21:18

ავიამშენი: ნიკოლაძე (18), ხოშტარია (14), წოწელია (10), ბ. ნოზაძე (4), შენგელია (10); ბერძენიშვილი (10), ნინიაშვილი (9), ბოლქვაძე (8), თორთლაძე (5), აბრამიძე (3), მოსეშვილი (2)

მაკაბი: ბადრიძე, კონჯარია (12), ერგემლიძე (4), ფიცხელაური (2), ვაშაკიძე (25), კორკოტაძე (15), გვარამაძე (13), ბარსეგიანი (2), ენუქიძე (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

16 დეკემბერი. რუსთავი

**თუჯი 82:92 სტუ**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილავიამშენი | 8 | 7 | 1 | +151 | 15 |
| სტუ | 8 | 7 | 1 | +154 | 15 |
| დინამო | 8 | 6 | 2 | +181 | 14 |
| თსუ | 8 | 4 | 4 | +60 | 12 |
| თუჯი | 8 | 4 | 4 | +15 | 12 |
| მაკაბი | 8 | 2 | 6 | -121 | 10 |
| ბურჯი | 8 | 1 | 7 | -237 | 9 |
| სსუ | 8 | 1 | 7 | -203 | 9 |

**ირაკლი პერტაია**

გუშინ ვერის ბაღში უჩვეულწდ ბევრი ხალხი ფეხზე მდგარი უყურებდა თამაშებს და ეს დაძაბულობის ბრალი კი არ ყოფილა, უნებურად სკამიდან რომ წამოგახტუნებს ქომაგს, არამედ გაუსაძლისი სიცივისა.

სანამ თბილისში ასატანი ამინდი იყო, ვერის ბაღში კალათბურთიც „ითამაშებოდა", მაგრამ ახლა ყინავს და დარბაზში დამონტაჟებული ხრუშჩოვისეული „ბატარეებიც", ზედ მატჩის დაწყების წინ რომ ირთვება, ოდნავაც ვერ ათბობს დარბაზს. ხალხმაც ჭკუა იხმარა და იმ „ბატარეებს" მიყუდებული უყურებდა თამაშს. კალათბურთელებიც არ იყვნენ მთლად კარგ დღეში და ნება რომ დაერთოთ, ევებ ქუდებითაც ეთამაშათ, აი, სათადარიგოებს კი რა აღარ მოეხურათ სიცივესთან საბრძოლველად.

სპორტული თვალსაზრისით კი გუშინდელი ტური იმით გამოირჩა, რომ პირველი გამარჯვება იზეიმა თელავის „ბურჯმა". სეზონის დასაწყისში კახელებს გამორჩეულად სუსტი გუნდი ჰყავდათ, თუმც წლეულს მიღებულმა გამოცდილებამ მათ თავდაჯერებულობა შემატა, თანაც „ბურჯს" ახლადშემატებული გიორგი დოლიძე დაემატა.

თელაველებს თავიანთი კალიბრის მეტოქე ჰყავდათ. სოხუმის უნივერსიტეტის გუნდს ამ სეზონში ოდენ ერთხელ ემარჯვა და ისიც სწორედ კახელებთან. ჩემპიონატის გახსნის მატჩი სსუ-მ თელავში ფიცხელ ბრძოლაში 3 ქულით მოიგო, თბილისში კი ისე პირწმინდად წააგო, შანსიც არ ჰქონია.

თავიდან, თელაველებმა უპირატესობა რომ მოიპოვეს, ბევრს ეგონა, ეს დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, „ბურჯი" კიდევ უფრო კრეფდა სიჩქარეს და საბოლოოდ უპრობლემოდაც იმარჯვა. რა იყო „ბურჯის" წარმატების იარაღი? გიორგი დოლიძის ზუსტი თამაში, თორემ არც ტაქტიკითა და არც სხვა რამით „ბურჯს" სსუ არ დაუჯაბნია.

მესამე მატჩია, დოლიძე თელაველებთანაა და ამ გუნდს უკვე დაატყო თავისი ხელი. ის ბათუმის „ბასკოს" გაზრდილია, საიდანაც „ქუთაისში" იყო განათხოვრებული. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს ეს ორივე გუნდი დაიშალა და რამდენიმეთვიანი უქმობის შემდეგ დოლიძე „ბურჯს" შეუერთდა.

როცა ბურთი თელაველთა ახალწვეულს ჰქონდა, „ბურჯის" ქომაგები მშვიდად იყვნენ, რადგან უმეტეს შემთხვევაში დოლიძე შედეგიანად აგვირგვინებდა შეტევას. კახელებმა პირველი ტაიმის მიწურულს ათქულიანი უპირატესობა რომ მოიპოვეს, მეტოქე სათოფეზე აღარ გაუკარებიათ და შედეგად ჩემპიონატში ისეთი გუნდი აღარ არის, მოგების სიტკბო რომ არ გაეგოს.

თელაველთათვის ამ „ისტორიული" მატჩის შემდეგ ტურის ცენტრალური შეხვედრა, „დინამო" — თსუ გაიმართა, რომელმაც არ გაამართლა. თურმე მართალი ყოფილა თსუ-ს მწვრთნელი მამუკა ტურაშვილი, როცა გუშინწინ საამმატჩო პრესკონფერენციაზე განაცხადა, „დინამოს" თამაშის მოგების ჩვენზე ორჯერ მეტი შანსი აქვსო.

სტუდენტებმა საბრძოლო შემადგენლობით ითამაშეს. ჯერჯერობით წარსულს ჩაბარდა პროტესტების „ხანა", როცა თსუ-ს წამყვანი მოთამაშეები უხელფასობის გამო თამაშს უარობდნენ. უნივერსიტეტის ახალი რექტორი კალათბურთელებს ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას დაჰპირდა, თუმც ეს ვერაფერი სტიმული გამოდგა გაცილებით ძლიერი „დინამოსთან."

მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა პირველ მეოთხედში იყო, როცა გუნდები ერთმანეთს ზვერავდნენ და სანამ „დინამო" „თსუ-ს" ერთი სუსტ წერტილს უპოვნიდა, ანგარიში თანაბრად იზრდებოდა.

სამწუხაროდ, ერთხელაც უნდა ვახსენოთ ის სენი, რისგანაც ბოლო დროს ცოტა განიკურნა ქართული ჩემპიონატი. მსაჯებისადმი დამოკიდებულებას ვგულისხმობთ, უფრო სწორად, აგრესიულ დამოკიდებულებას. ჩვენში კარგად ცნობილმა მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ დიდი მოთმინებისა და ათასი ხათაბალის შემდეგ, ასე თუ ისე, „მოარჯულა" მასზე იერიშის მიმტანი მწვრთნელ-მოთამაშეები, თუმც „დინამო" — თსუ-ს ქალთა ბრიგადა სჯიდა და პირველ ტაიმში, სანამ თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, შეხვედრის მონაწილენი ნერვებს ვერ თოკავდნენ, ორივე გუნდის მწვრთნელი ხმამაღლა გამოხატავდა მსაჯებისადმი უკმაყოფილებას, უბრალო შეხებაზე უსტვენთო. უფრო გამბედავი მაკა კუპატაძე გამოდგა, რომელმაც ტექნიკურით „დააჯილდოვა" თსუ-ს სათადარიგოთა სკამი და „დინამოშ" მიჯრით ხუთი ჯარიმა რომ ესროლა, ვიცე-ჩემპიონების გაქცევაც მაშინ დაიწყო.

ხუთი ქულით მოგებული საწყისი მეოთხედის შემდეგ „დინამო" საშურად ათამაშდა, ხუთწუთიანი მონაკვეთი 18:0 მოიგო, და ანგარიში 48:24 გახადა. თამაშის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა. მატჩს დიდი ენერგიის შელევა კი არა, დასასრულამდე დინჯად მიყვანა სჭირდებოდა და დინამოელებმაც მშვენივრად გაართვეს ამ ამოცანას თავი.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

15 დეკემბერი

**ბოსტონი 99:100 დენვერი**

ბოსტონი: პირსი (31), დევისი (18)

დენვერი: ენტონი (25), მილერი (19)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**კლივლენდი 112:88 პორტლენდი**

კივლენდი: ჯეიმსი (25)

პორტლენდი: მაილზი (21)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**ვაშინგტონი 93:98 მაიამი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (26), არენასი (22)

მაიამი: ვეიდი (29), დ. ჯონსი (23)

**ნიუ იორკი 93:94 დეტროიტი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (25)

დეტროიტი: ჰამილტონი (29)

**ნიუ ორლეანი 98:89 გოლდენ სტეიტი**

ნიუ ორლეანი: დიკაუ (23)

გოლდენ სტეიტი: მერფი (25)

**სან ანტონიო 94:91 ორლანდო**

სან ანტონიო: დანკანი (24)

ორლანდო: მობლი (21), ფრენსისი (20)

**ტორონტო 96:90 მინესოტა**

ტორონტო: ბოში (24 ქულა, 14 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 15 მოხსნა)

**მემფისი 88:96 ჩიკაგო**

მემფისი: გასოლი (24)

ჩიკაგო: კარი (20)

**ჰიუსტონი 92:69 ატლანტა**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (25), მინგი (23)

ატლანტა: ჰარინგტონი (21)

**ფინიქსი 108:86 იუტა**

ფინიქსი: ჯონსონი (30)

იუტა: ბუზერი (19 ქულა, 11 მოხსნა)

Euroleague

# ევროლიგა

VII ტური. 16 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ეფესი 78:63 პარტიზანი

ასტურიანტესი 87:57 ოლიმპიაკოსი

ციბონა 88:57 პროკომი

**B ჯგუფი**

სიენა 93:70 სკავოლინი

ვილერბანი 85:83 ჟალგირისი

მაკაბი 84:59 ბარსელონა

**C ჯგუფი**

ბენეტონი 72:62 უნიკახა



# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ლელომ ლელო მაინც გაიტანა

16 დეკემბერი. ვარკეთილის მეურნეობა

შესარჩევი ფინალი

**ლელო 18:17 დათვები**

ლელო: ქობელაშვილი, ყიასაშვილი, ჯამრულიძე, გ. მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი; ბარკალაია, კვირიკაშვილი; რამაზაშვილი, ვალიშვილი, ს. მჭედლიშვილი, გორგოძე, კოპალეიშვილი, კახოიძე, კობეშავიძე, სუჯაშვილი

*2 ლელო: გორგოძე, ყიასაშვილი*

*1 გარდასახვა: ბარკალაია*

*2 საჯარიმო: ბარკალაია*

დათვები: მაჩიტიძე, სვინტრაძე, სულამანიძე, ევგენიძე, ხონელიძე; დავითაძე, ხელაძე; ხაჟომია, ალანია, ბუტუშვილი, მოქია, ბერიძე, ნინიძე, გურეშიძე, ღლონტი

*3 ლელო: ნინიძე (2), ხაჟომია*

*1 გარდასახვა: მაჩიტიძე*

ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე მისულ მცირერიცხოვან ქომაგთ სანანებელი არაფერი უნდა ჰქონდეთ, „ლელოებმა" და „დათვებმა" გუშინ ჯიგრიანი ბურთაობა გააჩაღეს და ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა.

აუტანელმა სიცივემ მაყურებელი კი გატანჯა, მაგრამ თამაშს თითქოს ეშხიც კი შემატა. მორაგბეებმა მატჩი რა ტემპშიც დაიწყეს, იმავეში დაამთავრეს, დაღლა არავის ეტყობოდა. სხვა გზა არც იყო, ან უნდა ერბინათ, ან გაყინულიყვნენ. მობურთალებმაც სირბილი „არჩიეს".

ბურთი თამაშში ბათუმელებმა შეიტანეს და პირველივე შეტევა მწვავე გამოდგა. „დათვები" მეტოქის 22-მეტრიან მოედანში დაეუფლნენ ბურთს და სულ მალე ჩათვლის მოედნამდე მიიტანეს, თუმცა მოლში ბურთი წინ გაუვარდათ და დამიწება ვერ შეძლეს. „ლელომ" მწვავე შეტევითვე უპასუხა და მეტოქის ჩათვლის მოედანს მიახლოებულმა თბილისელებმა ლამაზი მარაოც გაშალეს. დასკვნით მომენტში ბურთი ქობელაშვილმა მიიღო, ლელოს არაფერი უკლდა, წინ მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე ედგა, ორიოდ მეტრში კი დასაზღვევად გუნდელიც მიჰყვებოდა, თუმცა ქობელაშვილს ბურთი გაუვარდა და ამჯერად „ლელომ" დაკარგა ასპროცენტიანი შანსი.

ანგარიში მაინც თბილისელებმა გახსნეს. ბარკალაიამ ზუსტი საჯარიმო დარტყმით გაიყვანა წინ თავისიანები. „დათვები" მალევე მოვიდნენ გონს და მასპინძელს ლელოთი უპასუხეს, თუმც გარდასახვა ვერ გაიტანეს და მხოლოდ 2 ქულით დაწინაურდნენ. მაგრამ მალე ბარკალაიამ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და „ლელომაც" სტუმრებს უპირატესობა ჩამოართვა.

ზღვისპირელებს შეეძლოთ წინ გასვლა, თუმცა დავითაძემ საჯარიმო არაზუსტად დაარტყა და „დათვებს" კიდევ ცოტა ხანს მოუხდათ მოცდა. მოგვიანებით ისინი მეტოქეს ისევ მიაწვნენ და კიდევ ერთი ლელოს დადება შეძლეს, მაგრამ დავითაძემ ვერც ამჯერად გარდასახა — 6:10. ახლა ისევ დედაქალაქელების ჯერი დადგა, გორგოძემ ლელოც გაიტანა, ბარკალაიამ გარდასახა და ახლა მასპინძლები გავიდნენ წინ — 13:10. ბათუმელებს ანგარიშის გათანაბრება საჯარიმო დარტყმით შეეძლოთ, თუმცა დავითაძემ ისევ ააცილა. ამის შემდეგ კი ისეთი რამ მოხდა, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ბათუმელთა გუნდშიც და ტრიბუნაზეც. „ლელოს" ჩათვლის მოედანთან შერკინება დაინიშნა, „დათვები" მიაწვნენ და ბურთი ჩათვლის მოედანშიც კი შეიტანეს, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა თამაშის წესების დარღვევა აღნიშნა და ზღვისპირელები დააჯარიმა. ამან ბათუმელები გაანაწყენა და ზოგიერთი მორაგბე მოედნიდანაც კი გამოვიდა, თამაშს აღარ გავაგრძელებთო. პროტესტის ნიშნად თავად ბათუმელთა მწვრთნელი ლევან მგელაძეც აპირებდა სტადიონის დატოვებას, მაგრამ გუნდმა თამაშის ჩამთავრება არჩია.

მეორე ტაიმში უფრო ჯაჯგურა რაგბი გაჩაღდა, თუმცა ტემპმა იკლოო, ამასაც ვერ ვიტყვით. უპირატესობას ვერც ერთი გუნდი ვერ ინარჩუნებდა დიდხანს და ამან მატჩს დაძაბულობა შემატა.

მეტოქეებმა თითოჯერ კიდევ გააცუდეს საჯარიმო დარტყმები. შემდეგ ისევ ბათუმი მიაწვა და ცოტა ხანში „დათვებმა" თავის მესამე ლელოც გაიტანეს და, როგორც იქნა, მისი გარდასახვაც შეძლეს — 13:17. მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთიღა რჩებოდა. „ლელომ" ძალები მოიკრიბა, შეუტია და სტუმრები საკუთარ 22-მეტრიანს მიაჯაჭვა. თბილისელებმა ერთ ეპიზოდში ჯარიმაც მოინაგრეს, თუმცა 3 ქულა არაფრით ჰყოფნიდათ და დარტყმას გათამაშება არჩიეს. დაუფასდათ კიდეც, ხანგრძლივი ჯაჯგურისა და შეტევის მიმართულების მრავალჯერ შეცვლის შემდეგ, როგორც იქნა, ზღვისპირელთა ჩათვლის მოედანში შეაღწიეს და ყიასაშვილმა ბურთის დამიწება მოახერხა. „დათვები" ბოლო წამამდე არ ყრიდნენ ფარ-ხმალს და ყოჩაღადაც მიაწვნენ მეტოქეს, თუმცა საბოლოოდ აღარაფერი გამოუვიდათ და ფინალში „ლელო" გავიდა.

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# საშობაოდ

საშობაოდ „ბარსამაც“ გასწია საქველმოქმედო კამპანია: ფეხბურთის მოყვარე უპოვარი ბავშვები დაასაჩუქრა. ლუდოვიკ ჟიული და რონალადინო ამ საქმეში არიან ჩაბმულნი.

# პატივი საინსს

ესპანელი მერალე, დიდად სახელდებული და განთქმული კარლოს საინსი სპორტთან გამოთხოვების ნიშნად საპატიო მედალს იღებს ხუან ანტონიო სამარანჩის ხელიდან. ამ საპატიო ღონისძიებას ბარსელონაში, სადაც საინსი ცოლთან ერთად იყო მიწვეული, ესპანეთის პრინცესა კრისტინა დე ბურბონიც გამოჩნდა.



# კლიჩკოები ხარობენ



ძმები კლიჩკოები ხარობენ: ვიტალი (მარცხნივ) და ვალოდია უკვე ბერლინში არიან და იქ ჰოლივუდური ფილმის, „ოკეანის 12“-ის ჩვენებაზე იჯგიმებიან.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge